ოქმი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი **2022 წლის 27 იანვარი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. ფრიდონი შონია
3. სერგო ბერაია
4. გურიელ ქარდავა
5. ბადრი რიჟამაძე
6. ფელიქსი წურწუმია
7. ნინო ბოკუჩავა
8. მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 26 იანვრის N50-502202610 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 , წინააღმდეგი -არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი საკითხი

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 26 იანვრის N50-502202610 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: **ლ. ლიპარტია -** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება შემოსულობები 2936,4 ლარით, აქედან 2852,4 ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და 84011,46 ლარი (მიზნობრივი

ტრანსფერი საჯარო სკოლების დაფინანსება). ხოლო არსებული ნაშთიდან გადმოტანილი 756 000 ლარი მიიმართება:

1. 182,2 ათასი ლარი „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“
2. 548,0 ათასი ლარი „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“.
3. 20,7 ათასი ლარი „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“.
4. 5,1 ათასი ლარი „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

მ. იოსავა - ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე - შემოვიდა წინადადებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების გაზრდის თაობაზე და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს დასვამდა საკრებულოს სხდომაზეც

კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია